ქართული ფილმის
განვითარების ფონდი
GEORGIAN FILM FUND

164 Aghmashenebeli Av. 0112 Tbilisi, Georgia
Tel: +995 332 34 29 46 E-mail:office@filmfund.ge

„თბილისი

17.01.2019 წ

შეთანხმება

მე, „ქართული ფილმის განვითარების ფონდი“-ს დირექტორი, ილია ბექაური (პ/ნ 01008001037) თანახმა ვარ ჩვენ კუთვნილ ფართზე მოიჯარე შპს „ვიპტური“-ს (ს/კ 206 329 837) წარმომადგენელმა ლალი მჭედლიშვილმა (პ/ნ 01014001309) განათავსოს სარეკლამო ბანერი, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. აღნიშნული ბანერი მოხსნილი იქნეს, მოიჯარის შპს „ვიპტური“-ს მიერ, მეიჯარის მოთხოვნის თანავე.

„ქართული ფილმის განვითარების ფონდი“-ს
დირექტორი: _____ /ილია ბექაური/

ქ. თბილისი,

1 იანვარი 2019 წ.

მუხლი 1. მხარეებისა და ტერმინების შესახებ

1.1 წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) მეიჯარეე – "ქართული ფილმის განვითარების ფონდი" (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 1 ივლისს, რეგისტრაციის № 00045/12/0025 იურიდიული მისამართი: საქართველო, 0112 თბილისი, აღმაშენებლის გამზ. № 164), რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი ილია ბექაური;

ბ) მოიჯარე – შ.პ.ს„ ვიპტური " (საიდენ.კოდი №206329837 იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ№48, კ№3ვ, ბინა№2) დირექტორი: ლალი მჭედლიშვილი

1.2 წინამდებარე აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) იჯარის საგანი მეიჯარის კანონიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც იჯარის უფლებით გადაეცემა მოიჯარეს.

ბ) საიჯარო ქირა - ფულადი თანხა, რომელსაც წინამდებარე აქტით დადგენილი ოდენობითა და წესით მოიჯარე უხდის მეიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ.

გ) მესამე პირი ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი მხარეების გარდა.

დ) წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 2. გარიგების საგნის შესახებ

2.1 მეიჯარემ წინამდებარე აქტით დადგენილი ვადითა და სასყიდლით მოიჯარეს იჯარით გადასცა მეიჯარის კანონიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება (იჯარის საგანი);

2.2 იჯარის საგანს წარმოადგენს მეიჯარის კანონიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს მისამართზე, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №164, ადმინისტრაციული შენობა №29/2, პირველი სართული, იჯარის საგნის საერთო ფართობი შეადგენს **8 (რვა)** კვ.მეტრს.

მუხლი 3. იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

მეიჯარე ვალდებულია, მოიჯარეს იჯარის საგანი გადასცეს წინამდებარე აქტის მიღებიდან 1 კალენდარულ დღეში. მოიჯარე ვალდებულია მიიღოს იჯარის საგანი.

მუხლი 4. იჯარის საგნით სარგებლობის მიზნის შესახებ

4.1 იჯარის საგანი გამოყენებულ იქნება მოიჯარის საწესდებო ამოცანების შესასრულებლად.

4.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მიზანი არ შეიძლება შეიცვალოს წინამდებარე აქტი მოქმედების განმავლობაში.

4.3 3. მოიჯარე უფლებამოსილია, იჯარის საგანს ჩაუტაროს ისეთი რემონტი, რასაც იგი მიიჩნევ მიზანშეწონილად თავისი კომერციული მიზნების მისაღწევად. ამასთანავე, რემონტის ჩატარებისა დაცული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო-ტენიკური და სხ სახის ნორმატივები და ამ ხელშეკრულების მეშვიდე მუხლით დადგენილი ნორმა.